**MEMORANDUM OF UNDERSTANDING
BETWEEN
THE GERMAN UNIVERSITY OF ADMINISTRATIVE SCIENCES SPEYER
AND
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

1. The German University of Administrative Sciences Speyer (DHV) and Ivane Javakhishvili Tbilisi State University in furtherance of their mutual interests in teaching and research, and as a contribution to increased international co-operation between them, hereby agree to implement, within the framework of the regulations applying in each of the institutions and subject to the availability of resources, the following programmes and activities:

a) Development of joint master program in Public Administration
b) Preparation and realization of common international projects
c) Student exchange
d) Exchange of staff and researchers
e) Conducting joint research activities
f) Realization of joint conferences and academic meetings

2. The terms and condition, under which a specific programme and activity shall be undertaken under the terms of this Memorandum, and any necessary financial arrangements to facilitate these, will be mutually discussed and agreed upon in writing by both parties prior to the initiation of the particular programme or activity.

3. Both parties shall designate a liaison office for this Agreement. For Ivane Javakhishvili Tbilisi State University the contact office shall be Department of Foreign Relations, for DHV the contact office shall be the Service Centre for International Relations.

4. This Agreement shall also be applied to the educational and research organisations attached to each party.

5. This Memorandum of Understanding shall become effective for a period of three (3) years from the date of the last signature. It may be renewed by a proper document signed by both parties. However, it may also be terminated by either party giving six months' prior notice to the other party in writing.

**For the German University of Administrative Sciences Speyer**

_______________________

**Univ.-Prof. Dr. Karl-Peter Sommermann
Rector
DHV Speyer**

Date: July 31, 2009
Venue: Tbilisi, Georgia

**For Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

_______________________

**Prof. Dr. Giorgi KHUBUA
Rector**

Date: July 31, 2009
Venue: Tbilisi, Georgia

# DECLARATION OF INTENT

## BETWEEN
## THE GERMAN UNIVERSITY OF PUBLIC ADMINISTRATIVE SCIENCES SPEYER
## AND
## IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

The German University of Administrative Sciences Speyer (DHV) and Ivane Javakhishvili Tbilisi State University will examine how to establish an international cooperation with the aims pronounced in the attached draft of a memorandum of understanding.

**For the German University of Administrative Sciences Speyer**

**Univ.-Prof. Dr. Karl-Peter Sommermann**
**Rector**
**DHV Speyer**

**For Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**Prof. Dr. Giorgi KHUBUA**
**Rector**

Date: July 31, 2009
Venue: Tbilisi, Georgia

Date: July 31, 2009
Venue: Tbilisi, Georgia

**ურთიერთგაგების მემორანდუმი**

**გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტს (შპაიერი)**
**და**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს**
**შორის**

1. გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (შპაიერი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ითვალისწინებენ რა ორმხრივ დაინტერესებას აკადემიურ და სამეცნიერო სფეროში, ამ ორ დაწესებულებას შორის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით თანხმდებიან, რომ ორივე უნივერსიტეტის რეგულაციებისა და არსებული რესურსების ფარგლებში განახორციელებენ ქვემოთ ჩამოთვლილ პროგრამებსა და ღონისძიებებს:

ა) ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ჩამოყალიბება ,,საჯარო ადმინისტრირებაში";
ბ) ერთობლივი საერთაშორისო პროექტების მომზადება და განხორციელება;
გ) სტუდენტების გაცვლა;
დ) მკვლევარებისა და პერსონალის გაცვლა;
ე) ერთობლივი კვლევების წარმოება;
ვ) ერთობლივი კონფერენციებისა და აკადემიური შეხვედრების ორგანიზება.

2. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული თითოეული პროგრამისა თუ ღონისძიების განხორციელების პირობები და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი ფინანსური საკითხები მხარეებს შორის წინასწარ იქნება წერილობით შეთანხმებული.

3. წინამდებარე მემორანდუმის განხორციელების მიზნით თითოეული მხარე გამოყოფს საკონტაქტო პირს/ სამსახურს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან საკონტაქტო განყოფილება იქნება საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, ხოლო გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) მხრიდან – საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრი.

4. აღნიშნული შეთანხმება ასევე ძალაშია თითოეულ მხარესთან დაკავშირებული საგანმანათლებლო თუ კვლევითი ორგანიზაციებისათვის.

5. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 წლის ვადით. მემორანდუმის განახლება შესაძლებელია ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი სათანადო დოკუმენტის საფუძველზე. ასევე შესაძლებელია მემორანდუმის შეწყვეტა ერთი მხარის მიერ მეორე მხარის ექვსი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) სახელით

პროფ. კარლ–პეტერ ზომერმანი
რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით

პროფ. გიორგი ხუბუა
რექტორი

თარიღი: 31 ივლისი, 2009წ.
ადგილი: თბილისი, საქართველო

თარიღი: 31 ივლისი, 2009წ.
ადგილი: თბილისი, საქართველო

## განზრახულობათა ოქმი

გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტსა (შპაიერი)
და
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს
შორის

გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (შპაიერი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეცდებიან დაამყარონ საერთაშორისო თანამშრომლობა წინამდებარე დოკუმენტზე თანდართულ ურთიერთგაგების მემორანდუმში განსაზღვრული მიზნების შესაბამისად.

გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) სახელით

პროფ. კარლ–პეტერ ზომერმანი
რექტორი

თარიღი: 31 ივლისი, 2009წ.
ადგილი: თბილისი, საქართველო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით

პროფ. გიორგი ხუბუა
რექტორი

თარიღი: 31 ივლისი, 2009წ.
ადგილი: თბილისი, საქართველო